



\* \* ახალა წიგნაკი. ჩვენ მივიღეთ ახლად გამოსული წიგნაკი „ამერიკული ბამბა და მისი მოვლა-მოწევა“ ამიერ კავკასიაში“ მოკლე დარიგება ნ. ტარატინოვისა, თარგმანი ი. მაკვარიანისა წიგნაკი, თურმე, უსასყიდლოდ ურიგდება სოფლებში მცხოვრებთ. წიგნაკი იმდენად საყურადღებოა და სასარგებლო, რომ ჩვენ მას ამ ცოტას ხანში დაებეჭდათ.

\* \* თბილისის საქველმოქმედო საქაღვალეო საზოგადოების სამზრუნველო რჩევის სხდომაზე, რომელიც მოხდა 2 ივნისს და რომელზედაც დაესწრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ტ. ს. კ. იანოვსკი. სხვათა შორის დადგინდა იქნა: 1) მომავალ სამოსწავლო წლიდან საზოგადოების ყველა სკოლებში შემოღებულ იქმნეს საზოგადო სამინისტრო პროგრამა, 2) სწავლის უკანასკნელი ორი წელიწადი მოხმარდეს ხელსაქმეს სახელდობრ ქრ-კერვას, აგრეთვე ანგარიშისა და მეოჯახობის სწავლებას. სახალხო სკოლების ინსპექტორის ვ. ნ. პავლოვის წინადადებით, გადაწყვეტილია რომ ქალებს ასწავლონ არა „ლამაზი“ ნივთების კეთება, არამედ ისეთი ხელ-საქმე, რომელიც სასარგებლო იქნება ოჯახისათვის.

\* \* ქალაქის სკოლების რაგნოსაცხება. ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორის ბ. პავლოვის წინადადებით მომავალ სამოსწავლო წლიდან განზრახულია წიგნთ-საკვების დაარსება მხოლოდ ქალაქის პირველ-დასაწყისი სკოლების მოწაფეთა და მასწავლებელთათვის.

\* \* სამსახურადან გამოსვლა. სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების მმართველი კ. პ. პეტროვი, როგორც ისმის, კავკასიაში სამსახურს თავს ანებებს და მიდის კიევში.

\* \* ბეჰათუხის საზოგადოება. ახალა მამასახლასა. ბეჰათუხის საზოგადოებას ღმერთმა მოწყალე თვლით ვადმოჰყურა და მამასახლისად ამ ჟამად პატიოსანი კაცი მოუვლინა. მამასახლისად არის ამ საზოგადოების მკვიდრი კიმოთე გუდაძე, რომელიც შემდგომის დაგვარად ჯერ-ჯერობით სინილისიანათ მართავს მისს სამამასახლისოს, და სრული იმედიცა გვაქვს აწი რაც უფრო გამოცდილებას შეიძენს, საზოგადოების საკეთილ-დღეოდ უფრო მხნედ იღვაწებს.

მეთვალყურე

\* \* მუთაისი. საქველმოქმედო წარმოდგენა. შეიღეს ივნისს დანიშნულია საქალაქო თეატრში ქართული წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით, წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის მიერ ნათარგმნი ფრანგულიდან „ორი ობოლი“. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობენ უსასყიდლოდ ჩვენი საუკეთესო არტისტები ბ. ნი მესხიშვილი, ქ. ნი ნ. გაბუნია-ცა-

გარლისა, მ. საფაროვ აბაშიძისა და მძინაუოვისა, ეს უკანასკნელი ათი წელიწადი იქმნება, რაც ჩვენს საზოგადოებას არ უნახავს სცენაზე და სწორედ დიდად გვიხარის მისი კვლავ ნახვა და თამაში, რადგანაც ის ითვლებოდა ერთ უკეთეს მოთამაშედ თავის როლებში ჩვენს სცენაზე ქ. ნ. გაბუნია ცაგარლის შემდეგ. საღამოს გამგეთ ბრძანდება დიდათ პატივცემული კენია დარია მურზაყანის ასული ფალავისი. იმედია ჩვენი საზოგადოება სიამოვნებით დაესწრება ამ საღამოს მით უმეტეს, რომ ორ ნაირად სასიამოვნოა ამ წარმოდგენაზე დასწრება, ერთი რომ შემოსავალი დანიშნულია ავთამყაფი ღარიბი სტუდენტის ბ. ქუთათელაძის სასარგებლოთ, რომელიც მესამე კურსზეა საქემო ფაკულტეტზე და მეორე იმიტომ, რომ მეტად სასიამოვნოა ჩვენი საყვარელ არტისტების ერთად ნახვა ამ საუცხოვო პიესაში.

მ. მ—ლია

\* \* სოხუმი. ხეტყის წარმოება „ცნობის ფურცელში“ ამაზე წინადადებული გვქონდა ხეტყის წარმოების შესახებ ბ. ნ. ბესარიონ ვალიას-მიერ ჩხალთის ხეობაში (აფხაზეთში), ტყე სოკისა და იმყოფება მდ. ჩხალთის სათავეში. უხსოვრის დროიდან; აქ ცული არავის შეუტანია და ხეები სოცარი სიდიდისანი არიან გაზრდილნი. ამათის მოჭრის უფლება ხაზინისაგან აქვს აღებული ცნობილს ხეტყის მწარმოებელს მაქსიმოვს 15 წლის ვადით 3,000,000 მანეთად. ხოლო მაქსიმოვთან პირობა აქვს შეკრული ადგილობრივს მცხოვრებს ბ. ნ. ბესარიონ ვალიას, რომელც ვალდებულია ჩხატის ტყეში სჭრას ხეები და ტივებით ჩამოიტანოს კოდორის ხილთან, სადაც მაქსიმოვს ხერხის ქარხანა აქვს. ამ 1898 წლის განმავლობაში ბ. ნ. ბ. ვალიამ უნდა ჩამოიტანოს არანაკლებ 30,000 ხისა, მომავალ წელიწადს 60,000 ხე და შემდეგ იმდენი, რამდენის მოჭრას და ჩამოტანას მოასწრებს. ამ ჟამად ადგილობრივ მუშაობს 600 ჩვენებური და 400-იც სხვა და სხვა ეროვნების მუშა სულ 1,000 კაცი მუშაობს გაუწყნარებლად.

ლენხუმიდან მოყვანილ მეტივეების საშუალებით მდ. კოდორით 18 მაისს უკვე ჩამოიტანეს კოდორის ხილთან პირველი ტივა. მეტივეებს არსად გასქირებიათ. მთელი გზა, 42 ვერსის მანძილი თავისუფლად გაიარეს დიდიდამ სადილობამდე.

ამ დღეებში კიდევ მოელიან მეტივეებს და მუშაობა უფრო გაცხადდება საქიროა ქართლელი მეტივეებიცა 50 კაცამდე.

სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ ამბავს, ეს წარმოება ჩვენში პირველი და დიდად ხალხსაც გაუჩინა ლუკმა პური. იმედია, უფრო გაცხოველდება მუშაობა და უფრო მეტ რიცხვს მიიზიდავს მუშებისას.

\* \* ს. ბახვი. უწავნთ-საცავობა. ხუთი წელიწადი იქნება, რაც გა-

ზეთის ფურცლებზედ ვკითხულობთ რომ ბახვი სახალხო წიგნთ-საკვავი არსებობს. ვკითხულობთ, მაგრამ საუბედუროდ ეს ასე არ არის. როგორც მე, ისე ყველა ბახვის მცხოვრებელმა, ვიცით, რომ სკოლის ეზოში რაღაც შენობა დგას, მაგრამ ის ღია არასოდეს ჩვენ არ გვიჩვენებდა და არც ჟურნალ გაზეთებით უსარგებლნია იმისგან, გარდა მცირეოდენ რჩეულთა. ხან მასწავლებელი დგას შიგ და ხან დაეკტილია. გაზეთების გამოსაწერი ფულები მოაგროვებს წელს და გაზეთებიც გამოიწერეს, მაგრამ სად ან ვის მისდის გაზეთები ჩვენ არაფერი ვიცით.

\* \* ს. კუმათის საზოგადოება. (ოზურგ. მარა) მდებარეობს დიდი მალალი მთებშუა, დაბურულია დიდი ტყეებით. ოთხი წლის წინათ ამ ტყეებში იმალებოდნენ ავაზაკები და ფირალები. დიდ ზარალს აძლევდნენ საზოგადოებას, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ აგერ მეოთხე წელიწადი არის რომ ცული შემთხვევა უჩაღლებისგან და უჩაღობა თითქმის არ მოხდარა. ამას გარდა ამ საზოგადოებაში გზებიც არ გვქონდა და ახლა კი დღევანდელ მამასახლისის მეცადინეობით გაკეთდა და ადვილათ შეგვიძლია მიმოსვლა.

— სკოლა. ამ სოფელში აგერ ოცდა რვა წელი გადის რაც ერთ კლასიანი სკოლა აქვთ, საქირო იყო აქ ორკლასიანი სასწავლებელი დაარსებულიყო, რის საქიროებასაც ცხადად გვიმტკიცებს შეგირდების სიმრავლე. ჩვენი მამასახლისი თავგამოდებით ცდილობს დაარსოს ორ კლასიანი სკოლა და იმედია სისრულეში მოიყვანს.

ვ. ნე მაიკოშვილი

\* \* ს. რუისი (ქართლი). მახრას უფროსისა და სკოლების ინსპექტორისა მობრძანება. 31 მაისს დიდიდანვე დაიწყო გროვება ხალხმა რუისის სამამასახლისოს სოფლებიდან და თვითონ რუისიდან რუისის „სასოფლოზე“, სადაც იყვნენ დაბარებულნი კომლზე კაცი. შუადღემდის დიდძალი ხალხი შეგროვდა, მაგრამ რადგანაც მშვიდობა მუცელმა ძალა დაატანა, ამის გამო ბევრი წავიდა-წამოვიდნენ თავთავიანთ სოფლებს-სახლებში, ბევრის ლოდინის შემდეგ, მესუთე საათზე მობრძანდნენ მოსალოდნელი პირნიც და შეუდგნენ თავთავიანთ საქმეებს. მახრის უფროსმა ხალხს აუწყა, რადგანაც უწყლოობისა გამო სოფლები შეწყუბულნი ხართ და ერთმანეთს თავსა და პირს ამტყრევთ, ამისთვის მთავრობამ დაგინიშნათ მირაბათ ქაიხოსრო კლიმიაშვილი, რომლის მოვალეა იზრუნოს ყველა რუისის სამამასახლისოს სოფლებისათვის, რომ წყალი ყველას საკმარი ჰქონდეთ და რომელსაც მთავრობავე უნიშნავს ჯამაგირს და თქვენ აღარ გაწუხებთ, მხოლოდ მირაბს უნდა ამოურჩიოთ თქვენის ხარჯით თანაშემწე, და მერუეები, რომ უფრო პირნათლად შეეძლოს თავისი თანამდებობის ასრულება. ამის შემდეგ ხალხში

ხმაურობა შეიქნა, საიდანაც ირკვევოდა მათი უკმაყოფილება. ამ წინადადებას როცა კენჭი უყარეს, აღმოჩნდა რომ მომეტებულ ნაწილს არა, სდომებოდა ამ წინადადების მიღება, რადგანაც მირაბის თანაშემწის ჯამაგირი ემატება სოფლელთ და ზოგიერთი ვერ დარწმუნებულიყო მაში, რომ მთავრობა ჯამაგირს მისცემს მირაბს და მის ჯამაგირისთვის აღარ შეაწუხებს სოფელს. ასე რომ მახრის უფროსის წინადადება უარ ჰყვეს, რაც დიდათ ეწყინა ახალ მახრის უფროსს.

სოფლის სკოლების ინსპექტორმა ხალხს აუწყა სკოლის გადიდების შესახებ: რადგანაც სკოლის შენობა პატარაა და სწავლის მსურველთა რიცხვს ვერ აკმაყოფილებს, ამისათვის ისეთი მოზრდილი შენობა უნდა ააგოთ, რომ ოთხმოცი ქალ-ვაჟი მოთავსდესო, რის გამოც მთავრობა ასი თუმნით გეხმარებათო და კიდევ პატივცემული გენერალი კოსტანტინე მამაცაშვილი აძლევს სკოლას რავედენიმე დესეტინა სახნავ-სათეს მემულს სოფელს გარეთ, სკოლის ხარჯის შესამცირებლადო. ეს ფრიად სასარგებლო საქმეც უარ ჰყვეს.

— გენახუის ახეხვა-მოხაზობა. ამას წინათ ჩვენს მკითხველებს ვაუწყეთ, რომ ვენახების ახეხვას აპირებდითქი რუისელნი და კიდევ შეუსრულებიათ ეს განზრახვა. ზოგს მთლად ძირიან-ფესვიანად ამოუყარია დედამიწიდან ვაზი, შეუტანია გუთანნი და მოუხნავს და ზოგსაც გაუჩენია ვაზი იმ აზრით, რომ ამოხეხეთავს და თუ წლებულობით არაფერს მოიხნავს, მერმის ხომ მოიხნავსო. ეს კი აღარ იციან რომ თუ არ უწყამოვს მაინც არაფერი გამოვა და იმედი გაუტრუვდებათ. ასე რომ წლებულს რუისის მცხოვრებნი საზიარებელ ღვინოსაც ვერ მოიყვანენ.

— ურწყავ მამულეში სამინდის თესვის შემოდება. ნათქვამია: „ზოგიერთი ქირი მარგებელიაო“ რუისელებსაც ასე მოუვიდათ. წყლის სიციოტავისა გამო სარწყავ მამულეში სიმინდს საკმარის ვერა სთესდენ, რის გამოც ამ რავდენიმე წლის წინათ ერთი-ორმა სკადეს ურწყავ მამულეში სიმინდის დათესვა, რომელთა ცდამ ამათ არ ჩაუარათ და მშვენიერი სიმინდი მოვიდა. ესლა კი თითქმის ყველამ დაიწყო სიმინდის თესვა მთაში, სადაც ნაკლები შრომაა საქირო.

რუისელი ია...

# დებეშები

(რუისის დებეშთა სააგენტოსაგან).

3 ივნისი

პატარაგზები. სამეურნეო საბჭომ მესამე სხდომაზე 30 ხმის უმეტესობით 8 ხმის წინააღმდეგ არა სცნო სასურველად მუშათა სავაღდებულო წიგნის შემოღება მეურნეობის ყოველგვარ სამუშაოში.

30 ივნისი. ზღვის სამინისტრომ გაიგო, რომ კანონის უსკადრა ისეთ მდგომარეობაში იმყოფებმ კადრებს, რომ წლებს ქვე გამოდის.

ნიუ-იორკი. მამისწერილან დღეებში იუწყება, რომ პოლიციელებმა გენტიგტონმა გადასწყვიტა არ დაიქიროს ის ადგილი, რომელიც ამერიკელებმა დაიქირეს საბანკოდ იმიტომ, რომ მას ჯარი არ მოეშველა და გაიგო რომ მახლობლად იმყოფება დიდი ჯარი ისპანიელებისა. ბანაკი ამის გამო გადატანილ იქნა სერის კვარცხლ-ბეკთან იმ პორტის მახლობლად, რომელსაც იცავენ სამხედრო გემები. ამერიკის ჯარის კაცთ დაჭერილი აქვს ზარბაზნების დასაშენი თხრილები.

მადრიდი. მტერმა ზარბაზნები დაუშინა ისპანიის ჯარს, მაგრამ უკუტყუელ იქნა; ადგილზე დასტოვეს 36 მოკლული; ისპანიელებს მოუკლეს 7 კაცი, დაუჭრეს 8.

4 ივნისი

პარიზი პალატა. ბურჟუა მთავრობის პოლიტიკას და მელინს ჰკიცხამს. ტრულიო უსაყვედურებს მელინს მასზედ, რომ მან გაპყარეს რესპუბლიკანელი. მელინ უპასუხებს, რომ რადიკალები ქრფორმების ანხორციელებას გვიშლიდნენო. პალატაში დიდი აღელვებაა. რიბო აქვებს მელინს და კიცხამს რადიკალებს. კასანიაკი უსაყვედურებს მელინს მას, რომ მან უარ ჰყო მარჯვენა მხარე. მელინი ამბობს, რომ მე არასდროს არ მითხოვნია დახმარება მარჯვენა მხარესიო. ტრულიო ურყევ პალატას დავეყაროთ იმ პოლიტიკას, რომელსაც მთავრობა აგერ ორი წელიწადია ადგიაო. ეს წინადადება მიღებულ იქნა 294 ხმით წინააღმდეგ 271-სა. ანრი რიკარი რიბოს წინადადებას უმატებს სიტყვებს, რომელიც მელინს არ უნდა და რომელიც პალატამ მიიღო 295 ხმით წინააღმდეგ 249-სა. საშინელი ხმაურობა ატყდება. სოცილისტები იძახიან „სამსახურიდან გადადექით“. კენჭი ჩამოუტარეს მთელ წინადადებას, რომელიც მელინმა მიიღო და რომელიც მიღებულ იქნა 284 ხმით წინააღმდეგ 272-ის. კრება დაიშალა. კრების შემდეგ მელინი წავიდა პირდაპირ სახლში.

შესდგა მინისტრთა თათბირი. მელინმა თხოვნა მისცა სამინისტროს სამსახურიდან გადადგომისა, რომელიც ფორმა მიიღო.

ნიუ-იორკი. ტომპსონ ზღვაში გავიდა 35 ხომალდი ჯარით თან მოსდევს 11 ჯაშუიანი გემები.

პარიზი. ნაფიც მსახურელებმა სიკვდილი გადაუწყვიტეს ანარხისტ ეტიევანს.

ნიუ-იორკი. ამერიკელები დღემდე გამარჯვებულნი არიან, მაგრამ საქმის მდგომარეობა საშიშოა, რადგან ჯარები ძალზე დაღლილ დაქანცულია გამუდმებულის ბრძოლით და ისპანელთა თავს დასხმით. ამერიკის ჯარებს მხოლოდ გემების ზარბაზნები იცავს სრულიად გაწყვეტისაგან. ისპანელები გარშემო შემოგრტყენ ამერიკის ჯარებს. აჯანყებუნი ამერიკელებს თოფებს ესროდნენ კვირას.